საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030184366162420

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/3958 **02 / აპრილი / 2020 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ (პროგრამული კოდი: 27 01 03) პროგრამის ფარგლებში დამატებითი ვალდებულებების (ცენტრის ლაბორატორიული ქსელისა და მარაგი ნაწილების შესაძენად), დასაფინანსებლად ესაჭიროება მეორე კვარტალში „საქონელი და მომსახურება“ მუხლის ასიგნების გაზრდა ამავე პროგრამის, მეოთხე კვარტლის „საქონელი და მომსახურება“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე.

ასევე, „იმუნიზაციის“ (პროგრამული კოდი: 27 03 02 02) პროგრამის ფარგლებში დაუგეგმავი აცრების განხორციელების მიზნით საჭიროა მეორე კვარტალის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის ასიგნების გაზრდა ამავე პროგრამის „საქონელი და მომსახურება“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე. ხოლო „ეპიდზედამხედველობის“ (პროგრამული კოდი: 27 03 02 03) პროგრამის ფარგლებში მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებლად საჭიროა მეორე კვარტალში „საქონელი და მომსახურება“ მუხლის ასიგნების გაზრდა ამავე პროგრამის, მეოთხე კვარტლის „საქონელი და მომსახურება“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე.

გარდა ამისა, „საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით“ (პროგრამული კოდი: 27 03 02 07 03) პროგრამით გაფორმებული ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების ანაზღაურების მიზნით და ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით საჭიროა მეორე კვარტალში „საქონელი და მომსახურება“ მუხლის ასიგნების გაზრდა ამავე პროგრამის, მეოთხე კვარტლის „საქონელი და მომსახურება“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე.

ამასთან, კვარტლების დაბალანსების მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი“ (პროგრამული კოდი: 27 03 02 01), „იმუნიზაცია“ (პროგრამული კოდი: 27 03 02 02) და „C ჰეპატიტის მართვა (სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი)“ (პროგრამული კოდი: 27 03 02 11 02) პროგრამების ასიგნებები.

გთხოვთ, განახორციელოთ კვარტალურ განწერაში ცვლილებები და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

დანართი „1“ ფურცელი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური